

შპს ვდს საქართველოს
2024 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური
მდგომარეობის ანგარიშგება

	45 657.00	45 291.00
აქტივები		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	2 317 707.90	346 212.91
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	730 598.75	2 896.69
მარაგები	2 169 065.62	387 394.96
გადახდილი ავანსი	384 620.88	63 213.90
მოთხოვნა ბიუჯეტის მიმართ	98 663.17	56 756.77
მოკლევადიანი აქტივები	5 700 656.32	856 475.23
არამატერიალური აქტივები	-	-
ძირითადი საშუალებები	251 613.76	253 983.82
გრძელვადიანი აქტივები	251 613.76	253 983.82
სულ აქტივები	5 952 270.08	1 110 459.05

ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	5 371 739.48	801 834.75
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	80.00	240.47
საგადასახადო ვალდებულებები	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები	5 371 819.48	802 075.22
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	5 371 819.48	802 075.22

საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	580 451.00	308 383.84
სულ საკუთარი კაპიტალი	580 451.00	308 383.84
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5 952 270.48	1 110 459.06

მოთა მუმლაძე (დირექტორი)

მ. მუმლაძე



ირმა ჩხენკელი (მთ. ბუღალტერი)

ჩხენკელი

2024 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლის საქმიანობის შედეგები

	45 657.00	31.12.2023
ამონაგები	6 320 078.26	5 354 819
თვითღირებულება	(4 214 330.87)	(4 383 822)
საერთო მოგება	2 105 747.39	970 996

სხვა შემოსავალი	3 440 524.57	2 668 078
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1 738 965.33)	(1 138 361)
ცვეთა და ამორტიზაცია	(24 628.77)	(21 943)
საპროცენტო შემოსავალი	128 192.15	21 102
საპროცენტო ხარჯი	(146.07)	0
იჯარის ხარჯი	(16 478.89)	0
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(51 591.80)	(32 891)
სულ საოპერაციო ხარჯები	1 736 905.86	1 495 985

საოპერაციო მოგება	3 842 653.25	2 466 981
--------------------------	---------------------	------------------


გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
მარაგების გაუფასურება	-	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	-	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(3 570 586.78)	(2 625 225)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(3 570 586.78)	(2 625 225)
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	272 066.47	(158 244)

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	272 066	(158 244)
კაპიტალი საწყისი წაშთი (პერიოდის საწყისი წაშთი)	308 384	466 628
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	580 451	308 384

დირექტორი შოთა მუმლაძე

შ. მუმლაძე

მთ. ბუღალტერი ირმა ჩხენკელი *ჩხენკელი*



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 1

ზოგადი ინფორმაცია

შპს ვდს საქართველო (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2015 წელს საქართველოში. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასაბაო ვაჭრობა სამედიცინო და ორთოპედული საქონლით.

კომპანიის ფერდობი	იურიდიული ნუგუზიძე,	მისამართია მიკრო/რაიონი	საქართველო, 0186,ქ. IV,	თბილისი, კორპუსი	ვაკე-საბურთალოს N10ბ,	რაიონი, ბინა

შენიშვნა 2

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. შესაბამისად საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

საანგარიშგებო და სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

1. საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
2. საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას;
3. განმარტებითი შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებები, რომელსაც ფინანსური ანგარიშგება მოიცავს, განპირობებულია მხოლოდ მოგების ან ზარალის მიღებით, დივიდენდების გაცემით, წინა პერიოდების შეცდომების გასწორებითა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით, შესაბამისად კომპანიამ გადაწყვიტა წარადგინოს

საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად და სტრუქტურა შედგენილია ლიკვიდობის კლუბადობის მიხედვით.

აქტივები შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით და დაგროვილი ცვეთით (დაგროვილ გაუფასურების ზარალთან ერთად) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის;

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და

საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ზარჯების აღიარება ხდება ღირებულების მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება,

კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ.

ქონება კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის ღარიცხვა ხდება შეფასებით სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობა 2%

სამედიცინო ტექნიკა და ინვენტარი 10%

ტექნიკა და ელ. მოწყობილობები 10%

ავტო და მოწყობილობა 10%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა,

ახალი შეფასების ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება "პირველი შემოსავალში პირველი გასავალში" (FIFO) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებებით

უფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები,

რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში,

გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა,

რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი,

შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას.

თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე,

ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება,

რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება

შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს.

თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება.

გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზარდება იმ თანხაზე მეტად,

რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება.

გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის

გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები:

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი,

რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და ხარჯი.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული

ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება

უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისთვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით,

რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული

სავალუტო კურსისგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად

დაბეგვრას ექვემდებარება: განაწილებული მოგება,
გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;
მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი. მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად.
საგადასახადო დაბეგვრის წესიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ ღრობებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ
აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პირობებზე აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენები.
მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ პერიოდში აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენები.
საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

შენიშვნა 3

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები		
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2 439	44
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2 315 269	346 169
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში		
სულ	2 317 708	346 213

შენიშვნა 4

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	730 684	2 736
გადახდილი ავანსები	384 621	63 214
წინასწარ გადახდილი გადასახადი		
სულ	1 115 305	65 950

შენიშვნა 5

მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
ნედლეული და მასალები	2 169 066	387 395
სულ	2 169 066	387 395

შენიშვნა 6

ძირითადი საშუალებები

	ტექნიკა და ინვენტარი	ავეჯი და მოწყობილობა	ტრანსპორტი	ჯამი
ნაშთი: 2024 წლის 1 იანვარი	31 914	4 651	258 906	290 288
შემოსვლები	8299	13959	0	22 259
გადაფასება			0	0
გასხვისება, ჩამოწერა	(4 041)			(4 041)
ნაშთი: 2024 წლის 31 დეკემბერი	36 173	18 610	258 906	313 690
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება				0
ნაშთი: 2024 წლის 1 იანვარი	(12 658)	(2 491)	(26 338)	(19 545)
დარიცხვა წლის განმავლობაში	(3 988)	(672)	(17 862)	(22 522)
გასხვისება და ჩამოწერა	1 934			1 934
ნაშთი: 2024 წლის 31 დეკემბერი	(14 713)	(3 163)	(44 200)	(62 076)
წმინდა საბალანსო ღირებულება: 2024 წლის 1 იანვარი	19 256	2 160	232 568	253 984
წმინდა საბალანსო ღირებულება: 2024 წლის 31 დეკემბერი	21 461	15 447	214 706	251 614

შენიშვნა 7

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები	5 371 739	801 835
ვალდებულება საწარმოს პერსონალის წინაშე	80	240
სულ	5 371 819	802 075

შენიშვნა 10

ამონაგები

	31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	6 320 078	5 354 819
სულ	6 320 078	5 354 819

შენიშვნა 11

საოპერაციო ხარჯები

	31.12.2024	31.12.2023
თვითღირებულება	4 214 331	4 383 822
დასაქმებულთა ანაზღაურება	1 738 965	1 138 361
იჯარის ხარჯი	16 479	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	51 592	32 891
ცვეთა და ამორტიზაცია	24 629	21 943
სულ	6 045 996	5 577 017

შენიშვნა 12

სხვა შემოსავალი

	31.12.2024	31.12.2023
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	128	21
არასაოპერაციო მოგება	192	102
სულ	128 192	21 102

შენიშვნა 13

სხვა ხარჯები

	31.12.2024	31.12.2023
სხვა ხარჯები	3 570 733	2 625 225
სულ	3 570 733	2 625 225

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოშვებულ იქნა ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 15 სექტემბერს.

შოთა მუმლაძე (დირექტორი)

შ. მუმლაძე

ირმა ჩხენკელი (მთ. ბუღალტერი)

ჩხენკელი

